PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფერმერობა“ მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრები:

თამარ ახალაძე

ნია გუგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე:</u>

- [ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ფერმერობა	30	5	0

შენიშვნა: ვინაიდან მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, ექსპერტებმა აქტიური და სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მიიღეს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №653562 და 25 დეკემბრის N1231907 ოქმების საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N132616 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომლებსაც დაგვევალა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ფერმერობის", (განხორციელების ადგილი: ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192), ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმება, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგი განხორციელდა ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, რადგან წინა წარმოების დროს, ავტორიზაციის სტანდარტის 2.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას არ ქონდა შესყიდული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი, ხოლო მათ შეძენას გეგმავდა დონორი ორგანიზაციის (გაეროს განვითარების ფონდი) მხარდაჭერით.
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა მონიტორინგის განრიგი. მიმდინარე წლის 26 თებერვალს, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom-ის გამოყენებით განხორციელდა დისტანციური ვიზიტი. განრიგის შესაბამისად წარიმართა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; სასწავლო გარემოს (A, B, C), ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა. სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, დაწესებულების მიერ ასევე განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენა.

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება დაწესებულების მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ფერმერობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგანაც ავტორიზაციის სტანდარტის 2.2. კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილად. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტაციისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც „სრული შესაბამისობა“. გამომდინარე აქედან, პროგრამა ფასდება როგორც „სრული შესაბამისობა“.

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი არ დაფიქსირებულა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.4.1.2

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასამოქმედებელ მექანიზმებში დაამატოს პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულების შესაძლებლობა იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა, ვინაიდან კანონი პროფესიული განათლების შესახებ უშვებს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულებას იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

ინდიკატორი 2.4.1.5

„პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს კონკრეტული პროგრამას/მოდულს და მიეთითოს საწარმოს გამტარუნარიანობა თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს.“

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია. ასევე, მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულების მიერ ფერმერობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, წარმოდგენილია სამი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას მოდულების და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.1

„თანხვედრაში მოიყვანოს "პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებით" და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული ვადები პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ აღმოფხვრას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშრებით არსებული ტექნიკური უზუსტობები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გამოცდების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის ვადები თანხვედრაში მოიყვანოს პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებულ ვადებთან.“

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

ინდიკატორი 2.4.2.2

„ვინაიდან ფუნქცია მოვალეობებით პროგრამის ხელმძღვანელს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.“

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.4.2.4

„რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.“

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VIII .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IX. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. სტანდარტების შეფასება

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფერმერობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	IV
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის №34 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის N14 დადგენილებით დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, პრაქტიკის ობიექტის, მასწავლებლის/ინსტრუქტორების რაოდენობის შესაბამისად ხდება პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა.

უნივერსიტეტს პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს A, B და C გარემო. პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი წარმოდგენილია დანართი №4-ს სახით, სადაც მოცემულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი, რაოდენობა და მფლობელის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულებამ საჭირო აღჭურვილობის არსებობის დადასტურების მიზნით, თავდაპირველად წარმოადგინა ფოტომასალა. ზემოთხსენებულ დანართში ასევე მითითებულია აღჭურვილობა, რომელიც დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით (გაეროს განვითარების ფონდი) უკვე შესყიდულია. აღნიშნულთან დაკავშირებით, წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა, როგორც მეტწილი შესაბამისობა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დანიშნული იყო მონიტორინგი. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, დოკუმენტაციის წარმოდგენისას, სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც გაფორმებულია 2020 წლის 28 დეკემბერს მასსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის და, რომელიც ადასტურებს, რომ შეძენილ იქნა 30538.66 ამერიკული დოლარის (99880,29 ექვივალენტი ლარში) მატერიალური რესურსის ის საშუალებები, რომელიც არ ჰქონდა დაწესებულებას წინა ავტორიზაციის ვიზიტისას. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა შესყიდული მატერიალური რესურსი.

ფერმერობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯის ბაზაზე (C გარემო) წარმოდგენილია თანამედროვედ მოწყობილი მეცხოველეობის ფერმა, სადაც წარმოდგენილია ცხოველების სადგომი, დამხმარე ფართი სველი წერტილებით, საშხაპე, გასახდელი, შეხვედრების ოთახი, რძის დამუშავების და ცხოველების სამანიპულაციო ოთახები. წარმოდგენილია ასევე საკვების დასამუშავებელი და და დამრიგებელი საშუალებები. სამანიპულაციო ოთახში წარმოდგენილია პირველადი ვეტერინალური დახმარებისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღები. კოლეჯს ჰყავს სხვადასხვა სახეობის და ასაკობრივი ჯგუფის სასოფლო-სამეურნეო ცხოველი. ვიზიტის პერიოდში ფერმა იყო ცარიელი. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით სს ცხოველები იმყოფებოდნენ საძოვარზე.

დაწესებულებას სარგებლობის უფლებით აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც ხორციელდება მემცენარეობის ნაწილის პრაქტიკული კომპონენტების შედეგების მიღწევა. ასევე აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური საშუალებები: ტრაქტორი, საკიდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კულტივატორები, ფარცხი, ნიადაგის გამაფხვიერებელი საკიდები, პესტიციდებისა და ფერბიციდების შემტანი საკიდები, მოსავლის ამღები კომბაინი. პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს „გვაზა„-სთან, რომელსაც აქვს ტექნიკური საშუალებების ის ნაწილი, რომელსაც არ ფლობს კოლეჯი (ძირითადად მინდვრად საკვებწარმოებისათვის საჭირო საშუალებები). დაწესებულებამ დამატებით წარმოსადგენ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინა გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმება, სადაც გაწერილია ის აღჭურვილობები, რომლებიც გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მისაღწევად. მათზე წვდომა უზრუნველყოფილია ხელშეკრულებით.

ფერმერობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს სამი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლებშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და მოდულები, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება მათ ბაზაზე. ხელშეკრულებები გაფორმებულია 2020 წელს და მოქმედია 5 წლის განმავლობაში.

დაწესებულებაში დისტანციური წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შემოწმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსით დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 30-ით. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 5 პროფესიული სტუდენტი.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილებით დარეგულირებულია პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი. აღნიშნული წესის N1 დანართით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულების ფორმა, რომელშიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი არსებითი პირობები (ხელშეკრულების საგანი, მოქმედების ვადა, დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლება-მოვალეობანი, შრომის ანაზღაურება და ა.შ.).

პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის დაწესებულებას ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 11 პირი ჰყავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილებით წარმომადგენლობით საბჭოს მიერ დამტკიცებულია უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ მასწავლებლის საშტატო ერთეულზე პირი შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების ან კონკურსის წესით. მოწვეული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია უმაღლესი აკადემიური განათლება ან/და IV და V დონესთან გათანაბრებული პროფესიული განათლება ან/და შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით და არ ხდება მისი დაოქმება. მასწავლებელთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება პირის სამუშაო გამოცდილება. შერჩეულ მოდულის განმახორციელებელთა მოწვევა ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამავე წესით განსაზღვრულია მასწავლებელთა ფუნქცია-მოვალეობები. მასწავლებელი ვალდებულია მოდულის დაწყებამდე შეადგინოს კალენდარული გეგმა, შედეგების დადასტურებამდე არაუგვიანეს 10 დღისა შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები და ვალიდურობის დადგენის მიზნით შეათანხმოს დარგის სპეციალისტთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან, შეფასებებზე ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტებს არაუგვიანეს შეფასებამდე 3 დღისა და შეფასებიდან 3 დღეში გააცნოს მიღებული შედეგები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომები და სერთიფიკატები. დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს მოდულის განმახორციელებელი პირების მიზნობრივ დატრენინგებას. განმახორციელებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ უკვე ჩაუტარდათ კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით ტრენინგები.

ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილი პირადი საქმეებით დგინდება, რომ მოდულთა განმახორციელებლები შეძლებენ გაუძღვენ, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია (N01/04.01.2018) შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიღება/მოწვევა ხდება ზეპირი გასაუბრების საფუძველზე და ფორმდება ადმინისტრაციული აქტით. ხელმძღვანელად შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების წესით უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით. გასაუბრებას ატარებს რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებია: მონაწილეობა მიიღოს პროგრამისა და თანდართული დოკუმენტების შემუშავებაში/მომზადებაში საავტორიზაციოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის მიზნით; განახორციელოს პროგრამის ფარგლებში მოდულების განმახორციელებელი პირების კონსულტაცია კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების დროული შემუშავების მიზნით; მიიღოს მონაწილეობა შეფასების სისტემის (შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები, უწყისები) ვერიფიკაციის პროცესში; იქონიოს მოდულების განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაცია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით; გაუწიოს მონიტორინგი პრაქტიკის პროცესს, წარადგინოს რეკომენდაცია პროგრამის გაუმჯობესების შესახებ და სხვა.

დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. გადამოწმებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და დოკუმენტაციის მიხედვით, მას უდასტურდება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ასევე, დაწესებულების ვებგვერდზე ინტეგრირებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი openbiblio.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტთა მიერ, ბიბლიოთეკაში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სახელმძღვანელოები და ყველა აღმოჩნდა ადგილზე. ისინი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით, ისინი ეტაპობრივად ახდენენ ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი სასწავლო რესურსის გაციფრულებას. ამჟამად ყველა მიმდინარე მოდულის სასწავლო რესურსია გაციფრულებული, რომლებზე წვდომა თავისთავად აქვთ პროფესიულ სტუდენტებს.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სსსმ/შშმ) პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა. ამავე წესით დარეგულირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ინდ. გეგმის შედგენისას პროფესიული განათლების მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებას აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებულად კონკურსით მიღების წესი, რომლითაც გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მათი ფუნქცია-მოვალეობები. ამავე წესით ირკვევა, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი აწარმოებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, უზრუნველყოფს მათ უწვეტ მხარდაჭერას და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კონსულტაციას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლებს, სხვა სპეციალისტებს, სტუდენტებსა და მათი ოჯახის წევრებს. ასევე მონაწილეობს ინდივიდუალური საჭიროებებით განპირობებული დამატებითი/დამხმარე სერვისების, მატერიალური და ადამიანური რესურსის განსაზღვრის პროცესში და ადმინისტრაციას აწვდის ინფორმაციას საჭირო მხარდაჭერის შესახებ.
დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და ინკლუზიური პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტი. წარმოდგენილია მათი დანიშვნის აქტები.
ამჟამად დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ყავს.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლის და ხარჯის ოდენობას. ასევე, გაწერილია რენტაბელობის ზღვარი, რომელიც შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს. 5 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავლები სრულად ყოფნის იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა მასწავლების შრომის ანაზღაურებისა და მასალა-ნედლეულის, ინვენტარის შეძენისთვის. პროგრამაზე აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს 5 პირს. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებულად კონკურსით მიღების წესით;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- დანიშვნის აქტებით;
- პირადი საქმეებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი

09.03.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: